მედიის ინსტიტუტი

პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა

(საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)

2025

პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ განხორციელებული დევნა

(საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)

ავტორი: ნატო მირზაშვილი

რედაქტორი: სოფო ბებერაშვილი

2025

სარჩევი

შესავალი 4

პროტესტის მონაწილეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მასობრივი დარღვევა..... 6

სამართლებრივი ანალიზი..... 9

დასკვნა..... 11

რეკომენდაციები 12

შესავალი

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის 2028 წლამდე გადადებას შეეხებოდა, მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა. საწყის ეტაპზე პარტია „ქართული ოცნება“ პროტესტის ჩახშობას მშვიდობიანი აქციების უკანონო, არაპროპორციული და ძალადობრივი ფორმებით დაშლით ცდილობდა. 2024 წლის 13 დეკემბრიდან კი პროტესტის მონაწილეთა დევნა ძირითადად **საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების** მასიურად შეტანით და მათ საფუძველზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევით ხორციელდებოდა - დაჩქარებული წესით მიღებულ იქნა საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა აღნიშნული უფლებების რეალიზება. შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებისთვის აიკრძალა პიროტექნიკური ნაწარმისა და ლაზერული გამოსხივების მქონე საშუალების ფლობა, საგრძნობლად გაიზარდა შეკრებისა და მანიფესტაციების სხვადასხვა ნორმის დარღვევისთვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობები, გაფართოვდა პირის ადმინისტრაციული წესით დაკავების საფუძვლებიც.[i]

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის მეორე ტალღას წარმოადგენდა 2025 წლის 6 თებერვალს ასევე დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 15-იდან 60-დღემდე გაზარდა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით ასევე გაფართოვდა შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორისა და პასუხისმგებელი პირის ცნებები, გაიზარდა ადმინისტრაციული ჯარიმების ოდენობა შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესების დარღვევისთვის, შემოღებულ იქნა სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზების/ჩატარების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში შესაბამისი განცხადების დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, წარდგენის ვალდებულება, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილის მიერ სახის ნიღბით ან სხვა საშუალებით დაფარვის, ლაზერული გამოსხივების მქონე საშუალების ფლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის სახით 7 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა და სხვა მზღუდავი საკანონმდებლო ნორმები.

ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების[ii] სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება, სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად კი - ამავე პირებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის მუქარა ან მათზე თავდასხმა ან მათ მიმართ სხვა ამგვარი ქმედების ჩადენა. სისხლის

სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებით სასჯელის სახე და ზომა არაერთ დანაშაულთან მიმართებით გამკაცრდა, ზოგიერთ მათგანს კი დაემატა დამამძიმებელი გარემოებები. პროტესტის მონაწილეთა დევნის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მიღება 2025 წლის 2 ივლისს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ზოგიერთი ქმედების [iii] განმეორებით ჩადენის შემთხვევაში *(აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული ჯარიმის არგადახდის შემთხვევაში)* ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის ნაცვლად ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების განსაზღვრით განახლდა.

2025 წლის 26 ივნისს პარტია „ქართულმა ოცნებამ“ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით აკრძალა სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზებსა და ეზოში ფოტო-ვიდეოგადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა, რითაც დაარღვია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა საქმეების განხილვის საქვეყნოობის პრინციპი - აქციების ფარგლებში დაკავებულ პირთა სასამართლო სხდომებს მედიაც ვეღარ აშუქებს. პროტესტის მონაწილეთა გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ფორმას ასევე წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, რომლითაც ცილისწამების საქმეებზე მტკიცების ტვირთიც გადავიდა მოსარჩელიდან მოპასუხეზე, გაუქმდა კვალიფიციური პრივილეგია, სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება გავრცელდა საჯარო სივრცეში შეურაცხყოფაზეც. სწორედ აღნიშნული საფუძვლით შეიტანა სასამართლოში სარჩელი „ქართული ოცნების“ წევრმა თეა წულუკიანმა ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანის წინააღმდეგ.

ამასთან, 2024 წლის 13 დეკემბრიდან 2025 წლის 13 აგვისტომდე სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილების მიღებით გაუარესდა იმ **სფეროსა თუ სექტორის წარმომადგენელთა** უფლებრივი მდგომარეობა, რომლებიც მიმდინარე პროტესტში აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები. საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებების მიზანს, ერთი მხრივ, წარმოადგენდა პროტესტის მონაწილეთა დევნა, ხოლო, მეორე მხრივ - აღნიშნული პირების მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებით სარგებლობისთვის „მსუსხავი ეფექტის“ შექმნა. განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა პოლიტიკური შეხედულების ნიშნით საჯარო სექტორში დასაქმებულთა დევნის მიზნით მათი გათავისუფლებისთვის ფორმალური საფუძვლების შესაქმნელად ცვლილებები შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და დევნის ობიექტები გახდნენ მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების, კულტურის სფეროს (თეატრი), პოლიტიკური პარტიების, ლგბტ თემის წარმომადგენლებიც. ზემოაღნიშნული ჯგუფების წინააღმდეგ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან „ქართულმა ოცნებამ“ ნაწილი უკვე აამოქმედა: ექვს არასამთავრობო ორგანიზაციას ამჟამად ედავებიან ე.წ. უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონის დარღვევას; „ახალი თეატრის“ ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს დავით დოიაშვილი, რომელიც აქტიურად არის ჩართული მიმდინარე პროტესტში; „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე კომუნიკაციების კომისიამ სამართალდამრღვევად ცნო „ტვ პირველი“ და „ფორმულა“.

პარტია „ქართული ოცნება“ პროტესტის მონაწილეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევას განაგრძობს როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში.

პროტესტის მონაწილეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მასობრივი დარღვევა

(2024 წლის 13 დეკემბერი - 2025 წლის 13 აგვისტო)

2024 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებებით შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეების მიერ სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვისთვის, ასევე ლაზერული გამოსხივების მქონე საშუალების ფლობისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახედ ადმინისტრაციული ჯარიმა განისაზღვრა 2 000 ლარის ოდენობით. ცვლილებები შეეხო შეკრების ან მანიფესტაციის სხვა ნორმების [iv] დარღვევისთვის გათვალისწინებულ სახდელებსაც - შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილის მიერ კანონით [v] განსაზღვრული კონკრეტული ნორმების დარღვევისთვის ჯარიმის ოდენობა **10-ჯერ**, 500 ლარიდან 5 000 ლარამდე, ორგანიზატორის შემთხვევაში კი - 3-ჯერ *(5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე)* გაიზარდა.

საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლამდე პროტესტის მონაწილეებს ძირითადად წვრილმანი ხულიგნობის ან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით აკავებდნენ ან/და აჯარიმებდნენ. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით ადმინისტრაციული წესით საქმის წარმოება დაწყებული იყო 372 პირის მიმართ, რომელთაგან 62-ის მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო 100-ზე მეტი პირის მიმართ - ჯარიმა. დემონსტრანტებს ასევე აჯარიმებდნენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1] მუხლით - ძირითადად გზის ხელოვნურად გადაკეტვის საფუძვლით *(500 ლარით)*, რომლის აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენება ჯერ კიდევ აპრილი-მაისის თვეში, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ აქციების დროს, დაიწყეს.

შეკრების ან მანიფესტაციების წესების დარღვევისთვის 10-ჯერ გაზრდილი ჯარიმის ოდენობა პროტესტის მონაწილეთა მასობრივი დევნის ინსტრუმენტად **2025 წლის იანვრიდან** იქცა. გზის გადაკეტვის საფუძვლით 5 000 ლარით არაერთი სამოქალაქო აქტივისტი, კულტურის სფეროს წარმომადგენელი (მსახიობი, მომღერალი), პოლიტიკოსი და ჟურნალისტი დააჯარიმეს. დაჯარიმებულთა შორის არიან პროტესტის ისეთი მონაწილეებიც, რომლებიც გზის გადაკეტვის საბაბით რამდენჯერმე დააჯარიმეს, მაგ., ჟურნალისტი მარიამ ნიკურაძე (რომელიც ჯამში 20 000 ლარით დააჯარიმეს), მომღერალი პაატა ბურჭულაძე, მსახიობი ბაჩო ქაჯაია, აქტივისტი ნინო კალანდია (რომელიც ჯამში 30 000 ლარით დააჯარიმეს), მწერალი აკაკი ველთაური (რომლის 29 ჯარიმის საერთო ოდენობა 145 000 ლარს აღწევს), აქტივისტი ნიკა ნარსია (რომელიც ჯამში 105 000 ლარით დააჯარიმეს) და სხვ. გზის გადაკეტვისთვის დადგენილი ჯარიმის ოდენობა ორჯერ აღემატება საქართველოში საშუალო თვიურ ხელფასს.

საგულისხმოა, რომ პარტია „ქართული ოცნების“ სასამართლოს ფაქტობრივად ერთიანი მიდგომა აქვს შემუშავებული გზის გადაკეტვის საქმეებზე და არ ითვალისწინებს

მნიშვნელოვან გარემოებებს, მაგ., 5 000 ლარით აჯარიმებს 19 წლის სტუდენტს, აგვისტოს ომში დაღუპული გმირების შვილებს, ჟურნალისტებს, რომლებიც პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ, გადაკეტვად აკვალიფიცირებს გზის არასავალ ნაწილზე *(ე.წ. ტროტუარზე)* დგომას, დემონსტრანტებს აჯარიმებს თავად პოლიციის მიერ უკვე გადაკეტილ გზაზე ყოფნის შემთხვევაში და სხვ. აღსანიშნავია პროტესტის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების ერთგვარი დაშინების პრაქტიკა - სამართალდამცავების მიერ საჯარიმო ქვითრის *(ძირითადად გზის გადაკეტვის)* პირდაპირ სახლში გაუფრთხილებლად *(მათ შორის შუაღამის ან ადრიანი დილის საათებში)* მიტანა. საგანგაშოა გზის გადაკეტვის საფუძვლით გამოწერილი ჯარიმების საერთო ოდენობაც, რომელმაც პროტესტის დაწყებიდან - 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 18 მარტამდე - დაახლოებით 2 მილიონ ლარს მიაღწია.

შეკრებისა და მანიფესტაციის წესების დარღვევისთვის - როგორც სახის ნიღბითა და სხვა საშუალებით დაფარვისთვის, ასევე პიროტექნიკური ნაწარმის *(ე.წ. ფეიერვერკის)* ფლობისთვის/გამოყენებისთვის - ადმინისტრაციული წესით რამდენჯერმე დააკავეს და დააჯარიმეს აქტივისტი მარიამ სიჭინავა, რომლის ჯარიმების საერთო ოდენობა 70 000 ლარს აღემატება. სახის დამფარავი საშუალებებიდან აქტივისტებს ძირითადად ე.წ. ბალაკლავის ტარების საბაბით აჯარიმებდნენ. ნიშანდობლივია, რომ პროტესტის მონაწილეთა მიერ სახის დაფარვის მიზეზს წარმოადგენს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი იმ საშუალებებისგან თავის დაცვა, რომლებიც პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მშვიდობიანი დემონსტრაციების ძალადობრივი და არაპროპორციული ფორმებით დაშლიდან **საკანონმდებლო სივრცესა და ციფრულ ტექნოლოგიებში** გადმოიტანა.

აქციის მონაწილეთა მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის *(ძირითადად გზის გადაკეტვის)* ჩადენის დასადგენად „ქართული ოცნება“ მასობრივად და არაპროპორციულად, მათ შორის მიზნობრივი თვალთვალისთვის, იყენებს სახისა და ემოციის ამომცნობ კამერებს, რომლებიც 2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული პროტესტის კვალდაკვალ რამდენჯერმე შეისყიდა და იმ ადგილებზე დაამონტაჟა, სადაც აქციებისა და მარშების მონაწილეები აქტიურად გადაადგილდებიან. დემონსტრანტებს ზოგიერთ შემთხვევაში არც ატყობინებენ მათ მიმართ გამოწერილი ჯარიმის ქვითრის არსებობის შესახებ. აქციის მონაწილეების დაჯარიმების საფუძვლად, გარდა ზემოჩამოთვლილისა, ასევე იყენებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებით დემონსტრაციაში მონაწილეობას, მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას აქციის გამართვას [vi], პროტესტისთვის შენობის სივრცის მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაკავებას, რაც 6 თებერვალს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით აიკრძალა. ადმინისტრაციული სახდელის სახეობის დამძიმებისა და ჯარიმის ოდენობის გაზრდის მიზნით აქტივისტებს ერთდროულად რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის *(დაუმორჩილებლობა და წვრილმანი ხულიგნობა, დაუმორჩილებლობა და შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების წესების დარღვევა)* ჩადენასაც ედავებიან და კუმულატიურად აჯარიმებენ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებებით ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობა **20-ჯერ** (50 ლარიდან 1 000 ლარამდე) გაიზარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისთვის. ამ ნორმას პარტია „ქართული ოცნება“ საპროტესტო გამოსვლების მონაწილეთა მიერ როგორც სტენსილის დახატვის, ასევე ე.წ. სტიკერის დაკვრის შემთხვევაშიც აქტიურად იყენებს. სწორედ აღნიშნული მუხლის საფუძველზე მეორეჯერ დააჯარიმეს ჟურნალისტი და პოლიტიკური პატიმარი მზია ამაღლობელი, ასევე

ადმინისტრაციული წესით დააკავეს და 1 000 ლარით დააჯარიმეს აქტივისტი ციალა ქათამიძე.

ნიშანდობლივია პროტესტის ახალი ფორმების, ადგილებისა და ფორმატის საპირწონედ პარტია „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში **სხვადასხვა ცვლილების შეტანის ტენდენცია,** რაც პროტესტის მონაწილეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვას ემსახურება. აღსანიშნავია 2025 წლის 2 თებერვალს, „თბილისი მოლთან” დაგეგმილ აქციამდე 2 დღით ადრე, კანონქვემდებარე აქტში [vii] ცვლილების შეტანა, რომლითაც სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ჩამონათვალს დაემატა საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რითაც სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა მათ შორის „თბილისი მოლის“ წინ არსებული გზის მონაკვეთის გადაკეტვა, ბლოკირება. აღნიშნულ საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული აქციის 8 მონაწილე ხელმეორედ 2025 წლის 4 თებერვალს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის ბლოკირების/გადაკეტვის ბრალდებით სისხლის სამართლის წესით დააკავეს.

პარტია „ქართული ოცნებისთვის“ მასობრივი დევნის მექანიზმად იქცა 2025 წლის 6 თებერვალს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლითაც ადმინისტრაციული ჯარიმით *(1 500-იდან 4 000 ლარამდე)* ან პატიმრობით *(45 დღემდე ვადით)* დასჯადი გახდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, მასთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა[viii]. აღნიშნული ცვლილების პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენება **2025 წლის მაისის ბოლოს დაიწყეს**, როდესაც „ქართული ოცნების“ წევრ ირაკლი ზარქუას საჩივრის საფუძველზე ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ აქტივისტები მარიამ სიჭინავა და კერენ ესებუა, შესაბამისად, 3 500 და 4 000 ლარით დააჯარიმა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებით ადმინისტრაციული წესით დასჯად ქმედებად *(ჯარიმა 2 000-იდან 5 000 ლარამდე ოდენობით ან პატიმრობა 60 დღემდე ვადით)* ასევე განისაზღვრა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომლის საფუძველზეც 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა თორნიკე სხვიტარიძეს, ანი ქავთარაძე კი 5 000 ლარით დააჯარიმეს. „მონისა” და „ცრუმოწმის” დაძახების საბაბით 4 000 - 4 000 ლარით დააჯარიმეს მირანდა ბაღათურია და ანა ყურაშვილი. პოლიციელთან შელაპარაკების საფუძვლით 5-დღიანი პატიმრობა შეეფარდა აქტივისტ ალბი კორძაიას (რომელსაც აღნიშნულ შემთხვევამდე 10-დღიანი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული „ქართული ოცნების“ წევრ თეა წულუკიანის „შეურაცხყოფის" საბაბით), აქტივისტ ბექა პაპაშვილს კი - 7-დღიანი. 30 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართული ოცნების“ წევრ მარიამ ლაშხის საჩივრის საფუძველზე 12-12-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა ორ აქტივისტს - თათია აფრიამაშვილსა და ლიკა ლორთქიფანიძეს, მაგდა მამუკაშვილი კი 4 000 ლარით დააჯარიმა. ამ უკანასკნელს ჯარიმის გადაუხდელობის გამო მოგვიანებით ქონება დაუყადაღეს. საბანკო ანგარიშების დაყადაღების მექანიზმი ასევე გამოიყენეს აქტივისტებისა (მარიამ სიჭინავას, ნიკა ნარსიას, ნადიმ ხმალაძის) და ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის წინააღმდეგ.

2025 წლის 6 ივნისს პარტია „ქართული ოცნების“ წევრების შესახებ სოციალურ ქსელში *(„ფეისბუქი“)* განთავსებული ე.წ. პოსტების გამო ადმინისტრაციული საქმისწარმოება 20-ამდე პირის წინააღმდეგ დაიწყო, რომელთაგან 4 000 ლარით დააჯარიმეს ჟურნალისტი ეკა მიშველაძე, ტელეწამყვანი მიშა მშვილდაძე, უფლებადამცველი ბაია პატარაია, აქტივისტი ანა სუბელიანი, ჟურნალისტი ვახო სანაია, ჟურნალისტი ვიკა ბუკია, პოლიტიკოსი ელენე ხოშტარია, ჟურნალისტი დეა მამისეიშვილი *(3 000 ლარით)* და სხვ. პროტესტის

მონაწილეები ასევე დააჯარიმეს/პატიმრობა შეუფარდეს სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ დაწერილი კომენტარების გამო.

პარტია „ქართული ოცნება“ პროტესტის მონაწილეთა დასაჯარიმებლად და პატიმრობის შესაფარდებლად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის საფუძვლებს დღემდე აქტიურად იყენებს. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 6 თებერვალს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებებით გაიზარდა [ix] როგორც წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისთვის განსაზღვრული ჯარიმის ზედა ზღვარი *(1 000-იდან 3 000 ლარამდე)* და პატიმრობის ვადა *(15-იდან 20 დღემდე)*, ასევე პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ზედა ზღვარი *(3 000-იდან 5 000 ლარამდე)* და პატიმრობის ვადა *(15-იდან 60 დღემდე)*. გარდა ამისა, პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ „ქართული ოცნება“ იყენებს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დასადგენად შემოწმებას და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ იმ ცვლილებებს, რომლებიც შემოწმებისთვის თავის არიდებისთვის დაჯარიმებას *(500-იდან 2 000 ლარამდე)* ან პატიმრობას *(60 დღემდე)* ითვალისწინებს.

სამართლებრივი ანალიზი

პროტესტის მონაწილეთათვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვა, რაც გამოიხატა პარტია „ქართული ოცნების“ მიერ სახის დამფარავი საშუალებების, ლაზერული გამოსხივების მქონე საშუალებებისა და პიროტექნიკური ნაწარმის გამოყენების, კონკრეტული სივრცეების დაკავების, ბლოკირებისა და გადაკეტვის, მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე შენობაში შეკრების/მანიფესტაციის გამართვის აკრძალვაში და სხვ. წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული *შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების* [x] უფლებით დაცულ სფეროში უკანონო და თვითნებურ ჩარევას, აღნიშნულ ქმედებათა საპასუხოდ კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან გათანაბრებული ჯარიმებისა [xi] და ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება შეუთავსებელია *სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებთან*. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოსამსახურეებისა და სხვა პირების სიტყვიერი შეურაცხყოფის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცირება წარმოადგენს კონსტიტუციის მე-17 მუხლით აკრძალულ დევნას აზრისა და მისი გამოხატვის გამო და ზღუდავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებული *წარუვალი*

და უზენაესი ადამიანური ფასეულობის - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების - ფარგლებს.

პარტია „ქართული ოცნების“ მიერ პროტესტის მონაწილეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის მიზნით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებულ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას [xii] , „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-19 და 21-ე მუხლს, რომლებიც შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას განსაზღვრავს. ნიშანდობლივია, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება იცავს აზრის გამოხატვის ყველა ფორმას, მათ შორის, *პლაკატებისა და ბანერების გამოყენებას*, [xiii] რომლებიც ასევე არაერთხელ გახდა პარტია „ქართული ოცნების“ მიერ პროტესტის მონაწილეთა დაკავების ან/და დაჯარიმების საფუძველი. სახის დამფარავი საშუალებების ტარება ან პროტესტში ანონიმურად მონაწილეობის მიზნით სხვა საშუალების გამოყენება *შესაძლოა მშვიდობიანი შეკრების გამომხატველობით ელემენტს წარმოადგენდეს* ან ემსახურებოდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას ან სასჯელისგან თავის დაცვას, განსაკუთრებით ახალი *სათვალთვალო ტექნოლოგიების* გათვალისწინებით. [xiv] სახის დაფარვის ბლანკეტური აკრძალვა არ ტოვებს სივრცეს არც ერთი გამონაკლისისთვის, მაგალითად, პროტესტის მონაწილის მიერ სახის დამალვის ლეგიტიმური მიზნის განხილვისთვის.[xv]

პროტესტის მონაწილეების მიერ სახის დაფარვა წარმოადგენს *აზრისა და შეკრების თავისუფლების უფლებით დაცულ კომუნიკაციის ფორმას*, რაც შესაძლებელია შურისძიებისგან თავის დასაცავადაც იყოს გამოყენებული. შეკრებებსა და მანიფესტაციებზე სახის დაფარვა არ შეიძლება აიკრძალოს, თუკი არ არსებობს ისეთი ძალადობის თვალსაჩინო მტკიცებულება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. გარდა ამისა, შეკრების მონაწილეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნიღბის მოხსნა მანამ, სანამ მისი ქმედება არ წარმოადგენს დაკავების საფუძველს და სახის დაფარვა ხელს უშლის აღნიშნული პირის იდენტიფიცირებას. [xvi] გარდა ამისა, დაუშვებელია სათვალთვალო საშუალებების გამოყენება **შეკრებაში მონაწილე პირების გადაადგილების კონტროლისა** და მათი დევნისთვის. აღნიშნული ჩარევა შესაძლებელია გამართლებული იყოს მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მკაცრად დასაბუთებული და პროპორციული საფუძვლებით და უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს მიერ შემოწმებას.[xvii] თავად სახის დამფარავი საშუალების გამოყენება *არ უნდა იყოს მიჩნეული ძალადობრივი განზრახვის ნიშნად*. [xviii] რაც შეეხება შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა ქმედებებისთვის დაწესებულ ჯარიმებს, მაღალი ჯარიმების დაკისრება ხელს უწყობს პროტესტის ლეგიტიმური ფორმების გამოყენებაზე *„მსუსხავი ეფექტის“* შექმნას.[xix]

პარტია „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები „მსუსხავ ეფექტს“ ასევე ქმნის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ფორმის გამოყენებაზე, იმის მიუხედავად, რომ თავად *გამოხატვის თავისუფლების ფორმებმა* შესაძლებელია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების შესახებ საჯარო დისკუსიებში, რაც დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს.[xx]

დასკვნა

პარტია „ქართული ოცნების“ მიერ 2024 წლის დეკემბრიდან მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები როგორც ფიზიკურ, ასევე ციფრულ სივრცეში პროტესტის მონაწილეთა *შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას* ზღუდავს, რაც გამოიხატება აღნიშნული უფლებებით სარგებლობის ფაქტობრივ აკრძალვაში. შეკრებისა და გამოხატვის ნებისმიერი ფორმის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად კვალიფიცირება ***სახელმწიფო პოლიტიკის გაცხადებულ*** ნაწილად იქცა. პარტია „ქართული ოცნება“ მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად, შესაბამისი ამკრძალავი/შემზღუდველი ნორმების მიღებითა და პრაქტიკაში გამოყენებით ახშობს პროტესტის გამოხატვის ახალ ფორმებსაც. ნიშანდობლივია, რომ დევნა ხორციელდება იმ სფეროსა თუ სექტორის *(სამოქალაქო ორგანიზაციები, საჯარო სამსახური, მედია და ა.შ.)* წარმომადგენელთა მიმართაც, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აქტიურად არიან ჩართულნი მიმდინარე პროტესტში. პარტია „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიზანს წარმოადგენს კრიტიკული მასის დაშინება, გაჩუმება და პროტესტის ჩახშობა როგორც უშუალოდ დაჯარიმებისა და დაპატიმრების მექანიზმების გამოყენებით, ასევე „მსუსხავი ეფექტის“ შექმნით. აღსანიშნავია, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებები იმ ინსტრუმენტულ უფლებებს წარმოადგენენ, რომელთა სრულფასოვანი გამოყენების შეუძლებლობა სხვა თავისუფლებების რეალიზებასაც უქმნის საფრთხეს, რაც, თავის მხრივ, შეუთავსებელია კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

რეკომენდაციები

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებელს *(ჯინა რომეროს)*:

> მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, აღკვეთოს პროტესტის მონაწილეთა დაშინებისა და დევნის მიზნით მათი *შეკრების თავისუფლების შეზღუდვა* - შეწყვიტოს პროტესტის მონაწილეთა დაჯარიმება და დაპატიმრება მათ მიერ მშვიდობიანი შეკრების უფლების რეალიზებისას; გააუქმოს „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევისთვის დემონსტრანტებისთვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმები, პატიმრობა, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება და სხვ).

აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებელს *(ირინე ხანს)*:

> მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, აღკვეთოს პროტესტის მონაწილეთა დაშინებისა და დევნის მიზნით მათი *აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა* - შეწყვიტოს პროტესტის მონაწილეთა დაჯარიმება და დაპატიმრება მათ მიერ ციფრულ *(სოციალურ ქსელებში)* და ფიზიკურ სივრცეში გამოთქმული აზრის გამო, ასევე გამოხატვის სხვადასხვა ფორმის *(პლაკატი, ბანერი, სტენსილი, სტიკერი)* გამოყენების საბაბით. გააუქმოს პროტესტის მონაწილეთა მიერ გამოხატვის უფლებით სარგებლობის საფუძვლით შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმები, პატიმრობა და სხვ).

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს:

> მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, დაიცვას „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტითა და ზოგადი კომენტარებით *(N34, N37)* გათვალისწინებული ნორმები პროტესტის მონაწილეთა მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის შესახებ და უზრუნველყოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2025 წლის 15 ივნისის ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების სრულყოფილი იმპლემენტაცია.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის *დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს*:

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, იმოქმედოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ არსებული გზამკვლევისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად - გააუქმოს პროტესტის მონაწილეთა მიერ სახის დამფარავი საშუალებების ფლობის შესახებ არსებული აკრძალვა და შეწყვიტოს ციფრული ტექნოლოგიების *(სათვალთვალო კამერების)* დემონსტრანტების დევნის მიზნით გამოყენება.

ევროპულ კომისიას სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად:

განმეორებით მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, გადახედოს კომისიის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შესახებ მომზადებულ დასკვნას და იმოქმედოს აღნიშნული დასკვნის შესაბამისად.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

შეწყვიტოს მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეთა მიმართ თვითნებური და უკანონო ქმედებების განხორციელება - ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრება/ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

პროტესტის მონაწილეთა მიერ წარდგენილ სარჩელებზე *(„შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა - გზის ხელოვნურად გადაკეტვა, წვრილმანი ხულიგნობა და სხვ.)* უზრუნველყონ არა ბლანკეტური, არამედ ობიექტური, სრულყოფილი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

---

[i] “შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტს დაემატა სიტყვები - *“პიროტექნიკური ნაწარმი”*, ასევე “ა[1]” და “ა[2]” ქვეპუნქტები; ცვლილებები შეეხო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილს, 150-ე მუხლს, 150[2], 156[3], 156[4], 166[2] მუხლებს, 172-ე მუხლის პირველ ნაწილს, 174[1] მუხლს, 244-ე მუხლის პირველ ნაწილს და სხვა მუხლებს. იხ. ბმული.

[ii] საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირი ან/და საჯარო მოსამსახურე.

[iii] 166-ე, 173-ე და 174[1] მუხლები - წვრილმანი ხულიგნობა, სამართალდამცავის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, შეკრება-მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა.

[iv] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9, მე-11 (*მათ შორის პიროტექნიკური ნაწარმის ფლობა)* და მე-11[1] მუხლები *(გარდა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა[1]“ და „ა[2]“ ქვეპუნქტებისა)*. იხ. ბმული.

[v] „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი. იხ. ბმული.

[vi] მართალია, აღნიშნული ქმედება საკანონმდებლო ცვლილებებამდეც იყო ადმინისტრაციული წესით დასჯადი *(15 დღემდე პატიმრობა),* მაგრამ 6 თებერვალს მიღებულმა ცვლილებებმა სახდელის სახედ გაითვალისწინა როგორც 5 000 ლარით დაჯარიმება, ასევე 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა.

[vii] „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის N361 დადგენილება.

[viii] ასევე, აღნიშნული პირების ლანძღვა-გინება, შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და მათ მიმართ სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება.
[ix] Kvitsinskaya ., Jabauri A., Salphati M. (2025). *Briefing note Torture and Ill-Treatment During Protests and Suppression of Political Dissent in Georgia in November-December 2024*. OMCT, GYLA, GCRT & PHR. page 15.
[x] საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლები.
[xi] შერაზადიშვილი კ. (2025). *სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესების და საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიში.* ადამიანის უფლებათა ცენტრი. გვ.5. იხ. ბმული.
[xii] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლები.
[xiii] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2011 წლის N34 ზოგადი კომენტარი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების (მე-19 მუხლის) შესახებ. გვ. 3. იხ. ბმული.
[xiv] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის N37 ზოგადი კომენტარი, მე-60 პარაგრაფი. იხ.ბმული.
[xv] Ibragimova v. Russia, no. 68537/13, § 37, 30 August 2022.
იხ. ასევე: Russ v. Germany, no. 44241/20, 20 May 2025.
[xvi] ვენეციის კომისია და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (2020). *გზამკვლევი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ.* მე-3 გამოცემა. პარაგრაფი 153. გვ. 60. იხ. ბმული.
[xvii] იქვე, გვ. 24.
[xviii] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2020 წლის N37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების უფლების (21-ე მუხლის) შესახებ. გვ. 10. იხ. ბმული.
[xix] Novikova and Others v. Russia, nos. 25501/07 and 4 others, § 211, 26 April 2016.
[xx] Eon v. France, no. 26118/10, § 61, 14 March 2013.
იხ. ასევე: Özlü v. Türkiye, no. 45204/20, 8 October 2024.